4
ʒ-15

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ენისა და კულტურის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თეა შავლაძე

სინესთეტური აღქმის ვერბალური გამოხატულება როგორც კულტურული ფენომენი
(ინგლისური, ქართული, რუსული, გერმანული და იტალიური ენების მასალაზე)

10.02.10 ენა და კულტურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თ ბ ი ლ ი ს ი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მაია ნათაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური ოპონენტები: 1. **ნინო კირჭალიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.04)

2. **ლალი ჯოხაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი(10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 23 ივნისს 14:00 სთ. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის P.10.01 №1 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში.

მისამართი: 0162, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №45.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი ¹45.

Библиотека Тбилисского государственного педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 16 თებერვალს

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული სწავლული
მდივანი, პროფესორი /ლ. გვასალია/

2063

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ენის სხვადასხვა ფუნქციათა (ექსპრესიული, კომუნიკაციური/ ინფორმაციული, ემოციურ-ექსპრესიული, ესთეტიკური, ინტერპრეტაციული) შორის ძირითადი – კომუნიკაციური ფუნქციაა. კომუნიკაციას კი, ცხადია, შინაარსი აქვს – ესაა ადამიანის აღქმაში გარდატეხილი სამყარო.

თუმცა ენა არ არის მხოლოდ კომუნიკაციის გარეგნულად გამოხატული საშუალება. იგი ადამიანის ბუნების შინაგანი ნაწილია. "ენა არის უსაზღვრო მოღვაწეობა სულისა, რომელიც ცდილობს, რომ ბგერა აზრის გამოსახატავად გარდაქმნას" (ვ. ფონ ჰუმბოლდტი). სწორედ ენის მეშვეობითაა შესაძლებელი ჩავწვდეთ ადამიანის სულის ნებისმიერ მოძრაობას, არა მარტო ინდივიუალური სულის მოძრაობას, არამედ ერის გონსა(Geist) და კულტურას. ადამიანის სულის მოძრაობა კი მისი ფსიქიკის მოძრაობაა, მეტწილად გაცნობიერებული, არცთუ იშვიათად გაუცნობიერებელიც.

ადამიანური ფსიქიკის გამოვლინების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა აღქმა, რომელიც სხვადასხვა სახისაა: გრძნობადი/სენსორული (სინესთეტური ნაირსახეობის ჩათვლით), განცდითი, ლოგიკური და სხვა. ნებისმიერი სახის აღქმას, იქნება ეს სენსო-მოტორული (მათ შორის სინესთეტური) თუ სხვა - ვერბალური გამოხატულება აქვს. ვერბალური გამოხატულება კი ყოველთვის ენობრივ საფუძველს ემყარება.

<u>სადისერტაციო ნაშრომის მიზნები და ამოცანები.</u> <u>ნაშრომის ძირითადი მიზანია</u> სინესთეზიის (სინესთეტური აღქმის) ენობრივი გამოვლინების მექანიზმის წარმოჩენა განსხვავებულ კულტურებში, კერძოდ, ჩვენთვის ნაცნობი ენების მატარებელ კულტურებში: ინგლისურში, ქართულში, რუსულში, გერმანულსა და იტალიურში. უფრო კონკრეტულად, **კვლევის საგანია** დავადგინოთ, თუ როგორ ხდება სინესთეტური